საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 დეკემბერი, 2013 წელი ქ. ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-11/ 99

,,სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების, საკონკურსო პირობებისა დაკონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 29 ნოემბრის №01-11/93 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ემუხლების, ბსუ–ს წესდების მე-15 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 27 ნოემბრის №04 გადაწყვეტილების და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის და იურიდიული დეპარტამენტის ფროსების 2013 წლის 20 იანვრის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 29 ნოემბრის №01-11/93 ბრძანება.
2. დაევალოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს და იურიდიული დეპარტამენტს ბსუ-სა და ,,ბაზისბანკს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის 6 თვით, იგივე პირობებით გაგრძელების შესახებ შეთანხმების მომზადება.
3. წინამდებარე ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი